# სახალხო გაზეთი

№ 315 ოთხშაბათი, 1 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 315

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ხუთშაბათს ორ ივნისს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ

### ანტიოქ ნიკოლოზის ასულის ციცქიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მისის დაკარგვით გაუბედურებულნი: ქმარი მღ. ქრისტეფორე ციცქიშვილი და შვილები: ნინო, გიორგი, ბასილი, ელენე და მარიამი. წირვა იქნება მიძინების ეკლესიაში, პანაშვიდი ჯაფინაურის სასაფლაოზე დ. სურამში 12 საათზე. (1—631—1)

### შემთხვევით იყიდება
### სათიბი მაშინა

ორი დანით და სალესავი ჩარხით 75 მანეთად, ნაყიდია 162 მანეთად.

ადრესი: ტფილისი, გონჩარნი ქუჩა № 32. (2—1314—1)

### ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ზ. ს. ს. ს. სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე ოთხშაბათს 1 ივნისს 1911 წ. ელ. ჩერქეზიშვილის და ა. იმედაშვილის მონაწილეობით წრის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

### მეზობლები

დრამა 4 მოქმ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი თამარაშვილი, ტორელი, პიერრეტა, ქიქოძე და ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: ბაქრაძე, გოცირიძე, იმედაშვილი, მეტრეველი, მარკოზოვი, ფთაძე, ჩაგუნავა და ქიაურელი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ნ. გოცირიძე. ადმინისტრატორი ჭიაბერაშვილი. (1—1268—1)

### გამოვიდა ალ. შანშიაშვილის ახალი დრამატიული პოემა
### „შვების თავადი“

ფასი 60 კაპ. გამოცემა მ. ნემსაძისა.

„სახალხო გაზეთის“ ხელის მომწერთ, რომელნიც წიგნს მოიკითხავენ გაზეთის კანტორაში, დაეთმობათ 40 კ. ქალაქ-გარედ ხელის მომწერლებმა ფოსტის ხარჯად უნდა გამოგზავნონ 10 კ. წიგნი იყიდება: ტფილისში წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და თვით გამომცემელთან (დიდი ვანქის ქ. № 12). (10—1308—4)

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—58)

### ტფილისის კერძო სამკურნალო

ზაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ბედიგანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**დბვთიანი რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

**მზარეულოვი მ. ი.**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

**ორემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ფ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

**ხობოლევსკი ვ. ვ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**ხულბოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ, სადღასურით. (წ.—1089—476)

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ი. მ. ახპიხოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**დ. გრეიცი**—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

**მონსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

**ნოვიცკი**—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი**—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

**უკლობდნიკოვი**—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

**რიდელი**—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

**ხულაკოვი**—ყოველ დღე, ქალებ. და საზებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

**რუდენკო**—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

**ვესელოვსკი-ზოთოვი** ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ლიმონი**—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

**დ. ა. მხიტარიანცი**—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.

**ყაჩამჭარტოვი**—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—52)

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. ვაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ვ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. სობოლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით.** (წ.—1090—72)

### ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., სალ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—28)

### ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

### ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7ს. ლოვინის პროსპ. N 12, ახლი მდ.

### ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. ე)

### ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

### ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24 (8—67)

### დაბა სურამში ექ. ივ. გომართელი
### 5 ივნისიდან იღებს

ავადმყოფებს. სახლი შალიგინისა. (4—626—2)

ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ყოფილი მსმენელი ქალი ფრანგულ-გერმანულ-ენებისა და მუსიკის მცოდნე

### სძებს გაკვეთილებს

თანახმაა ქალაქ-გარედაც წავიდეს მასწავლებლად.

ადრესი: გუდოვიჩის ქ. N 7; სამეტგრო კურსები. იკითხეთ მასწავლებელი ქალი. (10—1309—5)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამას წინედ სახ. საბჭომ მიიღო კანონ-პროექტი, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქალთა უფლებას გამოცდის დროს ვაჟებთან ათანასწორებს. ამ ახალმა ნაბიჯმა ღირსეული ყურადღება მიიქცია და როგორც გაზეთებში ისე კერძო წრეებმა აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. ამავე საკითხს ეხება „რეჩი“ და ამბობს:

„ჯერ კიდევ 1861 წ. აღიძრა საკითხი, რომ უმაღლეს სწავლა-მიღებულ მეცნიერის წოდების მისაღებად ქალებსაც მიჰნიჭებოდათ უფლება და საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლობის დიპლომი მისცემოდათ. ნახევარმა საუკუნემ განვლო, ქალები ათი-ათასობით ათავებდნენ უმაღლესს კერძო სასწავლებელს და მხოლოდ ეხლა მიაქცია მათ ყურადღება საკანონმდებლო დაწესებულებამ.

გაზეთს მოჰყავს ცნობა, რომ ამ საკითხის აღძვრის დროს შვარცმა ისე შეატრიალა საქმე, რომ სამინისტროს უფლება აქვს საშუალო სასწავლებლის მასწავლებლად ქალიც განაწესოსო. ასეთია მუდამ ჩვენი ბიუროკრატიის მიდრეკილება, რომ ყოველ საქმეში თავის უფლებათა ფარგლის გაფართოვებასა ცდილობსო.

„მაგრამ ახლა კი ეს საკითხი ნამდვილ კანონიერ ნიადაგს დაემყარა, თუმცა აქაც კი ათასგვარის განმარტებით ცდილობდნენ შეეზღუდათ ქალთა ახალი უფლებანი“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ სათათბირომ ჯეროვნად ვერ დაიმუშავა ეს კანონ-პროექტი, თუმცა ბევრი რამ დამაბრკოლებელი ჩამოაცალა, მაგრამ უმთავრესი ნაკლი კი დასტოვაო და ამბობს:

„სულ მოულოდნელად სახელმწიფო საბჭო პრინციპიალურ ნიადაგზე დადგა და ამ მხრივ ქალ-ვაჟთა გათანასწორების ფარგალში მსჯელობდა... თვითონ ა. ნ. შვარციც კი შესწორებათა დამცველად გამოვიდა.

ცხადია თავის მოტყუება იქნებოდა ამ ნაბიჯის მიხედვით იმედიან მომავალს ველოდეთ, მაგრამ სათათბიროს უნდა ახსოვდეს ეს და მომავალ სესიაში მაინც იხელმძღვანელოს ქალთა უფლების გამაფართოებელ კანონ-პროექტის განხილვის დროს“.

## სახელმწიფო საბჭო

28 მაისის კრება.

**თავმჯდომარეობს აკიმოვი.** გარეშეთა დაუსწრებლივ მიიღეს პროექტი, რომლის ძალითაც სამხედრო სამინისტროს საზღვაო აფიცრების საზღვარ-გარედ გასაგზავნად ფული უნდა გადაიდოს.

შემდეგ მოიწონეს პროექტი, რომლის ძალითაც უნდა დაიფაროს საზღვაო სამინისტროს ვალები. მომხსენებელმა **ბირილევმა** სთქვა, სამინისტრო ახალ ცხოვრებას იწყებს, რაკი ყველაფერი ის მოიშორა, რაც მას მუშაობას უშლიდაო. მუდმივი დავალიანება სამინისტროს ენერგიას უქრობდა, ეხლა კი ფლოტი უფრო წარმატებით იმუშავებს.

**ზვერინცევი** მოახსენებს ფინანსიურ კომისიის დადგენილებას მოსკოვში შელაპუტინის საპედაგოგიო ინსტიტუტის გახსნის შესახებ. ეს ახალი დაწესებულება იქნება, რომელიც მასწავლებლებს თეორიულად და პრაქტიკულად მოამზადებსო. თუმცა სათათბირომ ბევრი ცვლილებანი შეიტანა პროექტში, მაგრამ რაკი საქმე ძალიან საჭიროა, ამიტომ კომისიამ პროექტის მიღება სათათბიროს რედაქციით გადასწყვიტა და დაადგინა, ეთხოვოს განათლების სამინისტროს, რომ ინსტიტუტის გახსნას სამ წელიწადზე მეტს ნუ დააგვიანებსო. პროექტი მიღებულ იქმნა.

შემდეგ ამისა მიღებულ იქმნა პროექტი, რომლითაც იმიერ კასპიის ბრიგადას სესხი უნდა მიეცეს. ამის შემდეგ სათათბიროს რედაქციით მიიღეს 13 კანონ-პროექტი.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ კრების საქმე გათავდა. საბჭოს დარჩა კიდევ 20 საქმე. ერთი ამ საქმეთაგანი საბჭოს 1909 წ. თებერვალს, 13 საქმე კი ამა წლის 10 მაისს. ამას გარდა 9 საქმე გადაეცა კომისიებს, რომელთა არჩევნებიც შემოდგომისათვის გადაიდო. ამის შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა კრებას ფეხზე მდგარი მოისმინოს უმაღლესი ბრძანება. სახელმწიფო მდივანმა წაიკითხა ბრძანება, რომლის ძალითაც საბჭოს კრებები 28 მაისიდან 15 ოქტომბრამდის შესწყდა. კრებამ ხელმწიფეს ურა შესძახა.

## ახალი ამბები

### ტფილისი

✦ როგორც გავიგეთ **დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი** ამ ჟამად მძიმე ავად ყოფილა. ბ. სარაჯიშვილი ბერლინში იმყოფება, საიდაც გამგზავრებულან მისი მეუღლე და ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილი.

✦ **ივ. გომართელის განთავისუფლება.** 29 მაისს ციხეში ჯდომის ვადა გაათავა და უკვე განთავისუფლეს ცნობილი მწერალი და ექიმი ივანე გომართელი. ზაფხულს ბ-ნი გომართელი დაბა სურამში გაატარებს.

✦ **მომავალი საქალაქო არჩევნები.** როგორც ვწერდით, ტფ. მაჰმადიანებმა ქალაქის გამგეობას სთხოვეს, შეძლება მოგვეცით ქალაქის საბჭოში ჩვენი წარმომადგენლებიც ვიყოლიოთო, ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა მაჰმადიანთ აცნობა, კერძოდ მე დიდი მომხრე ვარ, ქალაქის საბჭოში ყველა ეროვნებისა და წრის ხალხი იყოს, მხოლოდ თქვენი სურვილის განხორციელება თქვენზედვე არის დამოკიდებულიო; თავის დროზე უნდა შეიტანოთ დარჩენილი გადასახადები, არჩევნებზე დროით გამოცხადდეთ და ღირსეული წარმომადგენელი აირჩიოთო.

✦ **ა. ი. ხატისოვი სენატორ ვატაცისთან.** 30 მაისს ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე სენატორ ვატაცისთან სადარბაზოდ იყო. ა. ი. ხატისოვმა სენატორს დაწვრილებით გადასცა ყველა ის დადგენილებანი, რომელიც ხოლერისა და შავი ჭირის საწინააღმდეგო კრებამ მიიღო. დადგენილებებს სენატორი თანაგრძნობით მიეგება.

✦ **ვ. აბაშიძის ავადმყოფობა.** ქართულ სცენის მსახიობი ვ. აბაშიძე ამ ჟამად ძალიან ავად არის. ექიმების სიტყვით მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ წასვლა აუცილებლად საჭიროა. ამის გამო ავადმყოფ მსახიობის სასარგებლოდ 5 ივნისს თავად-აზნაურთა საზაფხულო თეატრში წარმოდგენა იმართება. დასდგამენ ორს მხიარულ ოპერეტას: „ქორწილის წინ“.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** რუსეთის გაზეთები უკანასკნელ ხანს განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევენ ტფილისში უნივერსიტეტის გახსნის საკითხს. „რეჩი“ ამტკიცებს დონის როსტოვში უნივერსიტეტის გახსნამ ხელი არ უნდა შეუშალოს ტფილისის უნივერსიტეტის გახსნასო. „ნოვოე ვრემია“ კი ჩვეულებრივად კვლავ ილაშქრებს ტფილისში განზრახულ უნივერსიტეტის წინააღმდეგ და ამტკიცებს, იქ უნივერსიტეტის გახსნა ხელს შეუწყობს რუსეთიდან კავკასიის განცალკევებასაო. თავის მხრივ წინადადებას იძლევა კავკასიაში დაარსდეს საშუალო სპეციალური სასწავლებლები.

✦ **შავი ზღვის რკინის გზის** გამოკვლევას ინჟინერ კამბიაჯიოს ანდობენ. მოსამსახურეთა შტატს უკვე ადგენენ.

✦ **რუსეთის იმპერიის ქალაქის თვითმმართველობათა რევიზიის მოხდენა** განზრახულია მოკლე ხანში. რევიზიას მოხდენენ სენატორები გარინი და ნეიდგარტი.

✦ **საქველმოქმ. სეირნობა.** 30 მაისს მუშტაიდში სეირნობა გაიმართა „განათლების“ საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ. სეირნობამ კარგად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო.

✦ **„ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“-ს მაისის ნომერი, რომელიც ჩვეულებრივ საინტერესოდ არის შედგენილი.

✦ **კავკასიის ნამესტნიკმა, ფინანსთა სამინისტროსთან** შეთანხმებით ნება დართო: 1) თავად ა. მ. სუმბათაშვილს სოფ. ლიამბალის მამულებზე დარჩენილი გადასახადები 2779 მ. 50 კ. ნაწილ-ნაწილად მაზრის შეიტანოს და აგრეთვე ახალციხის მემამულეს დავრიშ-ბეგ ყაფლანოვს სამი წლის განმავლობაში გადასახადის დარჩენილი გადასახადები წლიურად 209 მან. 58 კ.

✦ **მ. გვაზავას საქმე.** როგორც ვწერდით, ნაფიც ვექილს გვაზავას ერთის წლის ციხე აქვს გადაწყვეტილი ჟურნალში დაბეჭდილ წერილისათვის. როგორც შევიტყვეთ, სასჯელს 4 თვით შეუმსუბუქებენ.

✦ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** სიღნაღის ხაზინაში მოხელედ ნამყოფ ნიკოლოზ ლაფიაშვილის მცირე წლოვან შვილებს: თებრონეს, შალვას და თინათინს დაუნიშნა წლიურად თითოს 225 მ. პენსია და ერთდროული დახმარებაც ამავე ჯამით.

✦ **სახალხო სახლი.** დღეს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილ იქმნება ტრ. რამიშვილის 4 მოქმედებიანი დრამა „მეზობლები“. რეჟისორებს ნ. გოცირიძე. ფასი 5—50 კაპ.

✦ **ტფილისის გუბერნატორმა** ნება დართო მოწაფეთა ექსკურსიებს ივნისის შ[illegible]ცხვებში ჩა-

მოვიდნენ ტფილისში და ქალაქი და მისი მიდამოები დაათვალიერონ. ნებართვა აულიათ მოსკოვის კონსტანას კერძო ქალთა გიმნაზიას, ტვერის რეალურ სასწავლებელს და ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს.

✦ მივაქცევთ საზოგადოების და ქველმოქმედთა ყურადღებას, რომ „სახალხო გაზეთის" რედაქციაში მიიღება შემოწირულება ქვრივის ა—ს დახმარებისათვის. ქ. ა. აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება, არავითარი სალსარი და შემწეობა არსაიდან აქვს. ოთხი შვილის პატრონია, სამი მათგანი სასწავლებლებში საუცხოვოდ სწავლობს. მაგრამ ხშირად ტანისამოსი და საჭმელ-სასმელი არა აქვთ. იმედია საზოგადოება ხელს შეუწყობს მათ და შეძლებას მისცემს სწავლა დაამთავრონ.

✦ ტფილისში მეიზურეს: 28 მაისს —13 უპასპორტო, 29 მაისს—95 და 30 მაისს—5.

✦ 31 მაისს, დილით, საპიტრის ქუჩაზე ივანე ჯორჯაძის სახლის ჭერი ჩამოწვა სიძველისაგან. რადგან მოსალოდნელია ამ სახლის მთლად ჩამოწოლა, მდგმურებს სახლი დააცლევინეს.

✦ 30 მაისს, საღამოს 5 საათზე, ბანაობის დროს სტივოზე მტკვარში დაიღრჩო უცნობი ბავშვი, დაახლოვებით 12 წლის. გვამი ვერ იპოვეს.

## წვრილი ამბები

✦ 28 მაისს, კრასნოგორის ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვი, მდედრობითის სქესისა, დაახლოვებით 2 კვირისა, ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს,

✦ 28 მაისს, დილით, ვაკეზე, პოლიციელმა რევოლვერით მოჰკლა ცოფიანი ძაღლი.

✦ 30 მაისს, მუშტაიდში, „განათლების" სკოლის სასარგებლოდ გამართულ სეირნობის დროს შადრევანის აუზში ელექტრონის ლამპა გასკდა. ისეთი დიდი ხმა ჰქონდა, რომ ბევრს აფეთქება ეგონა და წივილ-კივილი შეიქმნა. ხალხი მალე დაამშვიდეს.

✦ 30 მაისს, საღამოს 9 საათზე, ტრამვაის ელექტრონის მთავარ სადგურზე ელექტრონის მავთულები გაფუჭდა. ამის გამო ვაგონების მიმოსვლა მთელი საათით შესწყდა.

## სასწავლებლებში.

✦ ხელოსნო სასწავლებელში. 29 მაისს ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის უკანასკნელ კლასის მოსწავლეთა ნამუშევარი შეამოწმეს, რომლის შემდეგაც 29 მოსწავლეს მისცეს ხელოსნის მოწმობა.

## კავკასიის რკინის გზაზე

✦ 29 ამ მაისს პლატფორმა სუმბათოვის ახლოს სახალხო მატარებელმა გადაუარა ს. ქვიშხეთის საზოგადოების მცხოვრებს გიგო ქალიაშვილს, რომელიც რამოდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

✦ სად. გუმბრში მატარებელში პორუჩიკი ივანე ლისიცინს რევოლვერი გაუვარდა უეცრად და მკერდში დიჰკრა.

✦ სად. სუმბათოვოში (ბორჯომის გზა) 30 მაისს მატარებელმა № 7 გასრისა დარაჯი გიორგი კვალიაშვილი.

✦ 29 მაისს სადგურ ბალაჯარაში მეისრე ტერუნოვი მეორე სართულის ფანჯრიდან წყალს ისხამდა, გადმოვარდა და ძლიერ დაშავდა.

✦ სადგურ ბაქოში 29 მაისს, მატარებელმა გადასრისა ლიანდაგზე გლეხი პავლე კისელიოვი.

## ქუთაისი

✦ სალიტერატურო გასამართლება. სამშაბათს, 31 მაისს, საქალაქო თეატრში საყურადღებო ლიტერატურული გასამართლებაა დიდი მოურავის გიორგი სააკაძისა. თავმჯდომარედ იქნება ევგენი გეგეჭკორი, ბრალმდებლად ა. ბებურიშვილი და დამცველებად: კიტა აბაშიძე და სვიმონ ქვარიანი.

## თელავი

✦ 30 მაისს თავი მოიწამლა აქაურ წმინდა ნინოს ღვდლთა სასწავლებლის მოწაფემ მ. ქ.—ს. მშობლებმა შეამჩნიეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

## პროვინცია

✦ სადგურ ანანური (დუშეთის მაზრა) მაისის დამდეგს საშინელი სეტყვა მოვიდა რომელიც გასტანა საათ-ნახევარს. სეტყვა კაკლის ოდენა იყო და ზოგან მეტიც; დაზარალდა ახლო-მახლო მდებარე სოფლები, სულ განადგურდა მიწის მოსავალი და ხეხილების ნაყოფი.

✦ სოფელ ბაკურციხის მიდამოებში (სიღნაღის მაზრა) მაისის განმავლობაში ქურდებს ადგილობრივ გლეხებისათვის ოცდა-ათამდე ცხენი მოუპარავთ. საერთოდ მაზრაში ძლიერ გავრცელებულია ცხენების ქურდობა. ენერგიული ზომების მიუხედავად ბოროტმოქმედნი ვერ აღმოუჩენიათ.

✦ ჭიათურა. წერა-კითხვის ადგილობრივ განყოფილების გამგეობა გამართავს ადგილობრივ თეატრში გასამართლებას ეგ. ნინოშვილის მოთხრობის გმირის ქრისტინესი. თავმჯდომარედ იქნება ნ. ჟაყელი, ბრალმდებლად გ. გორგაძე და დამცველად კიტა აბაშიძე.

მთავრობისაგან ნებადართულია და გაიმართება, შაბათს—4-ს ივნისს.

შემოსავალი გადადებულია ადგილობრივ განყოფილებისათვის.

✦ ხარაგოული. აქაურმა მასწავლებლებმა დაავალეს რამდენიმე ამხანაგს ნებართვას ლება ხარაგოულში სამკითხველოს გახსნის თაობაზე.

✦ შესდგა სცენის მოყვარეთა ამხანაგობა, რომელიც საზაფხულოდ სისტემატიურად წარმოდგენების მართვას შეუდგა.

✦ აქაური სასწავლებლები ემზადებიან სალიტერატურო დილის გასამართავად (ვაჟთა ორ-კლასიანი და ქალთა 1 კლ. სასწავლებელი)

✦ ახლო-მახლო სოფლებში ვაზი გახმა სუსხიან ზამთრის გამო.

✦ სოფ. ყაზბეგის (დუშეთის მაზრა) მცხოვრებ ივანე ქავთარიოვი წასჩხუბებია თავის შვილს ვანოს, რომლისათვისაც ჯოხი დაურტყამს; გაბრაზებულ შვილს ხანჯლით მოუკლავს მამა.

✦ სოფ. რენოს (გორის მაზრა) მცხოვრებს ნიკო ილურიძეს ჩხუბის დროს დანით მძიმედ დაუჭრია ნონე ხოხაშვილი.

✦ სამტრედია. კვირას 5 ივნის დილის 10 საათზე დანიშნულია სამტრედიის განყოფილების ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საგანგებო კრება. ამ კრებაზე უნდა დამტკიცდეს 1911 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და მოხდეს ახალი გამგეობის არჩევა. კრება მოხდება სავაჟო ს მინისტრო სკოლის დარბაზში.

✦ სოფ. ვაქირის (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებს ხატილა ხალათაშვილსა და გიო მჟავრიშვილს ჩხუბის დროს ხანჯლით დაუჭრიათ ერთმანეთი.

## სომეხთა ცხოვრება

✦ სომეხთა საქველ მოქმედო საზოგადოების კრება 29 მაისს მოჰხდა. კრებამ, სხვათა შორის, საზოგადოების საპატიო წევრად აირჩია ცნობილი დრამატურგი გ. სუნდუკიანცი და ამას გარდა საგანგებო დეპუტაცია აირჩია, რომელსაც დაავალა, მადლობა გადაუხადოს საზოგადოების სახელით კნეინა ს. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისას სანაინში სკოლის საჭიროებათაავის $3^{1}/_{2}$ დესეტინა მიწის შეწირვისათვის.

✦ მასწავლებელთა კრება. დღეს ტფილისში დაიწყება სომხურ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება, რომლის საპატიო თავმჯდომარედაც იქმნება ეპისკოპოსი ეფრემი. კრებაში მონაწილეობას იღებს 80 მასწავლებელი. სხვათა შორის, იმსჯელებენ მასწავლებელთა კურსების მოწყობის თაობაზე.

# დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს გეგეჭკორს უნდოდა წაეკითხა მოხსენება სათათბიროს მოქმედების შესახებ, მაგრამ გუბერნატორმა ნება არ დართო.

ბელოგორი. 30 მაისს, საღამოთი ტფილისისკენ მიმავალი საფოსტო მატარებელი სამ საათს გზაში გააჩერეს, რადგანაც მიწის ზვავს გზა გაეფუჭებინა.

ბათუმი. აქ ელიან ყოვლად სამღვდელო ინოკენტის, საქართველოს ეგზარხოსს.

# ტფილ. სათ.-აზ. საად.-მამულ. ბანკის რწმუნებულთა კრებაზე

კრებები დაიწყო 28 მაისს და უკვე სამი კრება მოხდა. პირველ კრებაზე თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა გ. დ. ჟურული, მდივნად—თავ. კ. პ. თუმანიშვილი.

კრებამ მოისმინა 1910 წლის ანგარიშები ბანკის ოპერაციების შესახებ და შემფასებელ კომისიის ორი მოხსენება. ანგარიშები დაამტკიცეს და შემდეგ შეუდგნენ ზედამხედველ კომიტეტის მოხსენების განხილვას.

კრებას მოხსენდა ზედამხ. კომიტეტის ანგარიში. ანგარიშში გამოთქმულ წინადადებაზე, რომ გაყიდული მამულები თავის დროზე დაუმტკიცდეს მყიდველებს, გამგეობის თავმჯდომარემ, უგ. თავ. მ. ა. გრუზინსკიმ განაცხადა, რომ ამას თეორეტიული ხასიათი აქვს, სინამდვილეში კი მისი განხორციელება ძნელიაო და ამ აზრის დასამტკიცებლად შემდეგი მოსაზრებანი წამოაყენა: 1,—მამულების დამტკიცებისათვის ფულებია საჭირო და მყიდველებს კი მცირე თანხა მოეპოვებათო, 2,—თუ მყიდველმა ფულები თავ-თავის დროზე ვერ გადაიხადა, ბანკი იძულებულია მამული ჩამოართვას და მამულების დამტკიცება თუ უმალვე სავალდებულო იქნება, ბანკმა ჩამორთმეული მამულები თითონ ხელმეორედ უნდა დაიმტკიცოს. 3,—როდესაც მამული ჯერ კიდევ მყიდველს არ აქვს დამტკიცებული, თუ იგი ბანკს თავის დროზე არ გაისტუმრებს, მამულის ჩამორთმევა ამ შემთხვევაში ძლიერ უადვილდება. რა თქმა უნდა, გამგეობა შეძლების გვარად ეცდება მამულები მყიდველებს თავის დროზე დაუმტკიცოს. კრებამ მხედველობაში მიიღო ეს მოსაზრებანი გამგეობის თავმჯდომარისა.

ხანგრძლივ კამათს იწვევს ზედ. კომიტეტის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ობლიგაციების განყოფილება არ არის სასურველ რიგზე დაწყობილი და გამგეობას არ შეუსრულებია წინანდელ კრების გადაწყვეტილება. ეგ განყოფილება მიენდოთ სპეციალისტისათვის.

გამგეობ. თავმჯ. უგან. თ. მ. ა. გრუზინსკიმ განაცხადა: განყოფილება ცალკე სპეციალისტს იმიტომ არ მიენდო, რომ ამით საქმის ვითარება არსებითად არ შეიცვლებოდა, რადგანაც მის საწარმოებლად, სულერთია, რამოდენიმე პირი და „არტელშჩიკი" მაინც საჭირო არის. ახლა ამ საქმეს ცალკე გამგესთან ერთად აწარმოებენ გამგეობის ერთი წევრი და თითონ ბუღალტერი. ამასთან განზრახული იყო ეგ საქმე მოგვეწესრიგებია საერთო რეორგანიზაციის დროსო.

რწმ. თდ. ა. ნ. დიასამიძე და დ. ვ. ჯორჯაძეს არ აკმაყოფილებს თავმჯდომარის განმარტება, მით უმეტეს, რომ კრებამ სწორედ ამ განყოფილების დიდმნიშვნელობისა გამო მოისურვა ცალკე სპეციალისტისათვის მინდობა.

რწმ. მ. ვ. მაჩაბელიც იმ აზრისაა, რომ რადგანაც თვით გამგეობასაც საჭიროდ უცვნია რეორგანიზაცია, აქამდის კიდეც უნდა განხორციელებულიყო რამოდენიმედ მაინც, რადგანაც შარშან ამისათვის თანხაც იყო გადადებულიო, ან და ზედ. კომიტეტისათვის მაინც უნდა შეეტყობინებიათ ამ საქმის დროებით გადადება.

ზედამხ. კომიტეტის თავმჯდომარე თ-დი ხ. რ. ვახვახიშვილი და წევრი ამ კომიტეტისა თ-და კ. ნ. აფხაზი აღნიშნავენ, რომ კომიტეტს წრეულსაც აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია, ეგ განყოფილება ცალკე პირს მიენდოს, რადგანაც შეუძლებელია ასეთი დიდი თანხა (სესხი 50 მილიონი, კუპონები 3 მილიონისა) რამდენიმე კაცის ხელში სხვათა შორის ტრიალობდესო. არ შეიძლება საქმის რიგიანად მოწესრიგება ძირითად რეორგანიზაციამდე გადადებულ იყოს, მით უმეტეს, რომ ეგ გაუმჯობესება თვით რეორგანიზაციას ხელს შეუწყობსო.

კრებამ დაადგინა, ობლიგაციო განყოფილების ცალკე გამგესათვის გადაიდოს საობლიგაციო ბუღალტერისათვის შარშან გადადებული ფულები და ამ განყოფილების ძირითად რეორგანიზაციის შესახებ მოახსენოს შემდეგ კრებას მაშინ, როდესაც ბუღალტერიის და საქმის წარმოების შესახებ მოახსენებსო. მსჯელობენ იმის შესახებ, რომ ამ რეორგანიზაციის პროექტის შედგენა მიენდოს შეერთებულს კრებას ზედამხ. კომიტეტისა და გამგეობისას; ამასვე ჩაებაროს ამისთვის საჭირო თანხა.

ზოგნი (თდ. კ. ნ. აბხაზი და თ-დი მ ვ. მაჩაბელი) საჭიროდ სთვლიან განზრახულ რეორგანიზაციას მხოლოდ საერთო არების დასტურის შემდეგ შეუდგნენ, რადგანაც იგი ხარჯთ-აღრიცხვაში ცვლილებებს შეიტანსო. მასთან არ უნდა გავეტაცნოთ რეორგანიზაციის იდეას და ბევრი რამ სალი ძველ წესდებიდანაც ვისესხოთო. ზოგნი კიდევ (რწმ. ი. ხრამელაშვილი, თდ. დ. ა. ფ-ვლენიშვილი) ამტკიცებენ, რომ მაინცა და მაინც ისეთი ცვლილებაც არ იქნება შეტანილი, რომ შეერთებულს კრებას საერთო კრების უდასტუროთ მისი გადაწყვეტა არ შეეძლოსო.

კრებამ რეორგანიზაცია მიანდო ზედამხ. კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულ კრებას და ამასვე მიენდოს საჭირო თანხა.

ჰკითხულობენ შეერთებულ კრების მოხსენების შემფასებელ კომისიის რეორგანიზაციის შესახებ.

რწმ. გ. ა. ყარანგოზიშვილის აზრით დანიშნულ აგენტებს წესდების ძალით უფლება არა აქვთ შეფასებისა,—შემფასებელ კომ.—ს არ შეუძლია დამტკიცება ისეთ შეფასების ოქმისა, რომელიც შედგენილია დანიშნულის და არა არჩეულის პირისაგანო. უფრო ხელსაყრელად მიაჩნია წესდების მუხლი შეიცვალოს იმ რიგად, რომ გამგეობას უფლება ჰქონდეს ყოველთვის შემფასებლად მოიწვიოს კრების მიერ რომელიმე არჩეულ კანდიდატებისაგან.

ზედამხ. კომიტეტის თავმჯდ. თ-დ ხ. რ. ვახვახიშვილმა და გამგეობის თავმჯდომარემ უგ. თ-დ. მ. ა. გრუზინსკიმ განმარტეს, რომ წესდებით არ არის შეუძლებელი შეფასების ოქმები დანიშნულ პირებმა შეადგინონ და თვით შეფასებას კი შემფასებელი კომისია ახდენსო.

რწმ. ა. ნ. დიასამიძე წინააღმდეგია შემფასებელთა რიცხვის გადიდებისა, რადგანაც, როგორც (1901 დაწყობილი) ოქმებიდანა სჩანს, კომისიას თანდათან ნაკლები რიცხვი საქმეებისა ჰქონია შესადგენი; თუმცა 1910 წელს მათი რიცხვი გაზდილა, მაგრამ შეიძლება იმას დროებითი ხასიათი ჰქონდეს და ამიტომ ნუ აუჩქარდებით შემფასებელთა რიცხვის გამრავლებასო.

შემფასებელ კომისიის თავმჯდომარე თ-დ კ. ზ. მაყაშვილი ციფრებით ამტკიცებს, რომ უკანასკნელ სამ წელს ტფილისში და ბაქოში საქმეებს უმატნიათ. სოფლის მამულებიც გორისა და ტფილისის მაზრაში დიდ დროს და ყურადღებას თხოულობს, მაგრამ ამ უკანასკნელებს ვერ ვაქცევთ ჯეროვან ყურადღებას, რადგანაც ნამდვილად შვიდი წევრიდან მხოლოდ ხუთი მუშაობს: თავმჯდომარეს იმდენ საქმე აქვს საერთო ხასიათისა, რომ შემფასებლის როლს ვერასგზით ვერ მოახერხებს, აგრეთვე მამულების გამგეც ერთობ დატვირთულია მამულების ზრუნვით, რომ შემფასებლის როლიც იკისროს. მასთან მომავალი წელი კიდევ უფრო მეტ საქმეებს გვიქადის.

ზედ. კომიტეტის წევრი თ-დ ვ. დ. ვაჩნაძეც საჭიროდა სთვლის დამფასებელთა რიცხვის მომატებას, რადგანაც ვერ ვუდივართ და ვერ ვმსახურობთ ბაქოსა და ტფილისის გარეშე მამულების ინტერესებსო.

(შემდეგი იქნება)

# ქუთ. საად.-მამულ. ბანკის რწმუნებულთა კრება

26 მაისი.

წინა დღის ოქმს ამტკიცებენ.

ს. კ—ტი ამბობს: საავანსო ანგარიშს სხვა სახელი ვუწოდეთ. ხოლო არსებითად არ მესმის, რა უნდა სთქვას ზ. კ—ტმა—უარსა ჰყოფს, რომ ჩვენ გამოუ რიცხეთ მოსამსახურეებს 15% ჯამაგირისა. ამის უარს ვერ იტყვის კ—ტი, რადგან 1498 მ. 34 კ. თვით მანვე ირწმუნა. მაგრამ კ—ტმა ყურადღება იმას მიაქცია, რომ ყოფილ საავანსო ხარჯს მიემატა 4912 მ. ჩვენ ეს ფული შეგვეძლო არ მოგვეყვანა და გადაგვეტანა შემდეგის წლისათვის. ჩვენ ეს არ ვქენით, ჯერ ერთი მისთვის, რომ ეს ფული უზრუნველ-ყოფილია და მერე ჩვენ არ შეგვეძლო არ შევსულიყავით მოსამსახურეთა მდგომარეობაში და არ დავხმარებოდით მათ, რომელნიც დღე და ღამ აქ განუწყვეტელ მუშაობაში არიან. ეს საჭიროდ დავინახეთ და თუ გვეტყვიან უკანონოდ მოიქეცითო, რასაკვირველია, დავემორჩილებით თქვენს გადაწყვეტილებას.

ად. კრინიცკი. ახლად გაცემული ფული იმათ მიეცათ, ვისაც წინადაც ჰქონდა წაღებული?

თ-დ მ. ფაღავა. უმრავლეს იმას.

გარ. ჭიღაძე (ზ. კ—ტი წევრი). გამგეობამ უფრო სარედაქციო პასუხი გაგვცა, ვიდრე არსებითი. არსებითად კი საქმე ასეთ მდგომარეობაშია —საავანსო ფულმა დაკლების მაგივრად იმატა. მე წინააღმდეგი არა ვარ, რომ ჩვენს მოსამსახურეებზე

# ნიმუშები ქართულ ლიტერატურაზე

ჩავიდეთ ისევ ბარად, ჩავყვეთ ჩვენ გლეხს და კარგად დავუკვირდეთ მისს ყოფას, შრომას, სულისკვეთების.

წელიწადის დრონი იცვლება, მაგრამ მასთან ერთად არ იცვლება გლეხის სული და გული, მისი ფიქრები მუდამ ერთსადაიმავეს დასტრიალებენ. მისი აზრი განუწყვეტლივ ყანას, ვენახს, სახნის-საკვეთსა და გუთანს დატრიალებს. გაზაფხული წელიწადის საუკეთესო დროა, იგი ჩვენთვის მშვენიერებისა და სილამაზის სიმბოლოა. მასთან ერთად ჩვენი გონება განუყოფელად აზროვნებს მერცხლებზე, ია-ვარდზე, მზის ოქროსფერ სხივებზე, ამწვანებულ ბუნებაზე და სხვა.

გლეხისათვის კი გაზაფხულთან ერთად დაკავშირებულია სულ სხვა, რომელიც რაფიელმა მშვენივრად ამოხსნა. გაზაფხული სხვა დროა, ახალი დრო; ზამთრის უზრუნველ დღეების შემდეგ დგება ახალი დრო, როცა

„დროა ლობესა, ბ[illegible], მოთხრა კაჰაპის ფესვისა,
„დროა მიწასთან ბრძოლისა, დროა ხვნისა და თესვისა.
„არიქა ბიჭო ვიჩქაროთ, იჩქარის ყველა სულდგმული,
„კარგს ნიშნებს ვხედავ, ღმერთმანი, უსაქმოდ მიწუხს სულ გული?.."

გაზაფხულიც წავიდა. დადგა ზაფხული, ამ დროსაც გლეხს, შრომის შვილს, მხოლოდ შრომა აინტერესებს, მაზე ფიქრობს და ზრუნავს:

„ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, ქერს მორჩენ და პურსა მკიან,..
„ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი ეზიდება ზამთრის სარჩოს,
„ვაშა, ვაშა მუშა ხალხსა ღმერთმა იმას გაუმარჯოს!"

ზაფხულს მოჰყვება შემოდგომა, აქ გლეხს რთველი აფიქრებს; ის ლონე გაორკეცებული ეზიდება შინისაკენ წლის სარჩოს და ასე მთელი წელიწადი გლეხი შრომობს და ოფლსა ღვრის. მაშასადამე გლეხის ცხოვრება ივივე შრომა ყოფილა და თუ პირველში რაიმე დადებითია, მეორეც არ უნდა იყოს მოკლებული ამ დადებითს.

ჩვენმა პოეტმა დაგვანახვა, რომ გლეხის ცხოვრებაში ბევრი ნათელია და საყვარელი და რადგან, როგორც ვსთქვი, გლეხის ცხოვრება თითქმის მუდმივ შრომაში მიმდინარეობს, სწორედ ეს შრომაა სიმშვენიერე და სილამაზე—სიყვარულის სიმბოლო.

პოეტს მინდვრად გავყვეთ და აი რას დავინახავთ:

„თივა დასდგეს, ანეულსა დასდგომია ამინდები,
„აგერ, აგერ ყანებშია ჰოოპუნას იძახიან,
„მტრედი, გვრიტი და ქედანი იქ ირევა ნამჯაშია,
„მ გრამ მომკლებს ვინ აჯობებს მღერასა და გარჯაშია".

ცხადია ავტორის სრული სიმპატია მომკლებისკენაა, მას არ აინტერესებს მტრედი, გვრიტი და ქედანი, რადგან მისი აზრით შრომის შვილს ვინ აჯობებს, ვინ შეედრება?.

იმდენად მშვენიერი, ლამაზი და საყვარელია მისთვის თვითეული მშრომელი, რამდენადაც უკანასკნელი მეტს ენერგიას და სისწრაფეს იჩენს შრომაში, ამიტომაც უყვარს მას ყველაზე მეტად მეთაური და სცდილობს ჩვენი ყურადღებაც აქეთ მიიქციოს: „შახე ერთი მეთაურსა, შახე იმის ნამგლის ტრიალს", ამბობს ავტორი ლექსში „ზაფხული". ან კიდევ მეორე ადგილას:

„შახე იმ ერთს გულ-გადებულს, თავზე ქუდი არა ხურავს, ხელცახოცი შუბლს წაუკრავს, დასძახის და ოფლში ცურავს".

ავიღოთ მეორე ლექსი: „გუთანი". რამდენი პოეზიაა გამოხატული ამ პატარა ლექსში, რამდენი სიმშვენიერე. აქ ავტორი გვიხატავს გლეხის ფიქრებს, მისს სიხარულს, რიცა იგი შრომაშია გართული, ჩვენ თამამად შეგვიძლიან ამ ლექსს სიმღერა ვუწოდოთ:

„შენი ჭირიმე, გუთანო, ნაკურთხო მაღლა ღვთისაო,
„მოხან, მოთესე ხორბალი, მოვიმკო სარჩო წლისაო,
„გადაამზევეთ მინდორი, რომ დაგვნატროდეს ყველაო,
„ფრთას აუწიე სახნისსაც უმარჯვე, გუთნის დედაო,
„ყამირის ბელტო, ნუ ნაზობ, გადადი ზედი-ზედაო"!

მაგრამ ყველაზე უფრო მხიარულობს გლეხი შემოდგომისას; ამ დროს არაჩვეულებრივად ხალისიანი და ლამაზია მისი შრომა. ამ დროს იგი ნათლად ჰხედავს, რომ „არ უღალატა გუთანმა" და „უფალმაც მოხედა", ბედნიერია, რადგან ნათლად ხედავს მისს შრომის ნაყოფს და მხიარულად შინისაკენ ეზიდება.

„კალოთები იზვირთება და შექმნა ხშირი რთველი!
„საურმეზე გოდრები სდგას კალათს სცლიან ზედი-ზედა...
„აბა, ბიჭო, მარნისაკენ, თორემ ძლიერ გაიჭედა
„იკიდებენ მძიმე გოდრებს სიცილით და ღიღინითა,
„ურმით მიაქვთ საწნახლისკენ ნება-ნება ჭრიჭინითა!..
„აბა გოგო, კხა თუ გინდა, ან ჯაგანი, ან აკიდო,
„შენი წილი ზამთრისათვის მოდი ზურგზე წამოგკიდო".

ასეთია გლეხის ნაკურთხი შრომა. ასეთი მამაცი და დაუდგომელია მისი ბუნება.

ეხლა ავიღოთ ის ლექსები, რომლებშიაც გლეხის შრომა არ იხატება, მაგრამ იგი შრომაზედ ფიქრობს; „უსაქმოდ მიწუხს სულ გული" ამბობს ის. შრომამ ნაყოფი მოიღო, გლეხს სული უწუხს სანამ ამ ნაყოფს კიდევ შეამკობდეს თავისის შრომით, რადგან რთველამდე ჯერ კიდევ ადრეა, და ის, როგორც საუკეთესო მხატვარი, როგორც ნამდვილი პოეტი, ისე აგვიწერს თავისს სიყვარულს იმ საგნისადმი, რომელიც მისი ნამდვილი პირმშოა:

„ვაზო, შვილივით ნაზარდო", უმღერის იგი ვაზს,
„ულვაშებ გადგიგრეხია, ჩაჰკონებიხარ ჭიგოსა, შუაზედ გადგიტეხია.
„თუ დაგიზურგავს ყურძნითა, ვერ გაუძლია ბეჩავსა,
„რად არ ამკიდე, ვზიდავდი, არ დავზოგავდი მე თავსა".

ისეთი ძლიერია გლეხის სიყვარული ვაზისადმი, რომ უსაყვედურებს კიდეც: „შენ თუ ჩემთვის ამოდენა ტევნები გამოისხი, რად დამასვენე და არ ამკიდე ზურგზედო, დეე მეც შენის გულისთვის ტვირთქვეშ მეკვნესაო". მაგრამ გლეხი მაინც აიმედებს თავისს თავს, რომ მომავალში გადაუხდის ძვირფას ვაზს სამაგიეროს.

„შენის ზედაშის მადლს ვფიცავ, შენ არ მოგაკლო ბარია,
„გაგსხლა, შეგყელო, გაგთოხნო, არც კი ჩნდეს მონათხარია,
„გაგფურჩქნო, გაგალამაზო, როგორც რომ პატარძალია,
„აღარ დავზოგო მე შენთვის ჩემი ღონე და ძალია"...

არა ნაკლები პოეტია გლეხი, თავისის მსუბუქი სალებავებით, როცა ის ამწვანებულ ყანას უმღერის:

„ყანავ, შენ ჩემო ყანაო, ნამი გიამა განაო,
„გიხდება ოქროს ქოჩორი, რამ შეგქმნა მაგისთანაო
„გეთაყვანება ნიავი, ზღვასავით ღელავ, სვიანი,
„შენი შრიალი მახარებს, ღმერთმა გაშოროს ზიანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიზრუნოთ, მაგრამ საზღვარი უნდა დავუდოთ მას. არავისათვის საიდუმლო არაა, რომ ზოგიერთ მოსამსახურეს მთელი წლის ჯამაგირი აქვს წაღებული.

სობრიევსკი ფინანსთა მინისტრის წარმომადგენელი. თ-დმა ფალავამ უკვე აღნიშნა, და თქვენ ყურადღება არ მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ წინანდელი პრაქტიკით მოსამსახურეებს დეკემბრის ჯამაგირები ეძლეოდათ, მაგრამ ხარჯად იანვარში იწერებოდა; 1910 წ. ანგარიშში გამგეობამ ეს არ ინდომა და ამან გამოიწვია, რომ ორი თვის ჯამაგირები მოსამსახურეებისა ზედ მეტად ჩაიწერა 1910 წ. ანგარიშში.

ო. ფანცხავა (ზ. კ—ტის წევრი). ჩვენ მხოლოდ ფაქტი ავღნიშნეთ, რომლის უარის ყოფა შეუძლებელია. ამასთან სიამოვნებას ვაცხადებთ, რომ წინდაწინ გაცემული ფული ერთ ანგარიშშია მოთავსებული. შარშანწინდელ ანგარიშში ავანსებს მოაკლდა 4,000 მან.; ეს გარემოება მაშინვე სიამოვნებით აღვნიშნეთ, მაგრამ როგორც ირკვევა ეს მოკლება ფიქტიური იყო, ნამდვილად კი მოსამსახურეებზე ითვლებოდა მეტი, რაც წრევანდელ ანგარიშში გამოირკვა. ფაქტიურად ავანსები არ შემცირებულა, მოსამსახურეებს დახმარება უნდა—ამის თანახმა მეცა ვარ—მაგრამ ზომა აქაც საჭიროა, მით უმეტეს, რომ მოსამსახურეებს აღდგომასა და შობას საჩუქრად თვიური ჯამაგირი ეძლევათ. აღვნიშნავ იმასაც, რომ ზოგიერთ მოსამსახურეს მეტად ბევრი ფული აქვს წაღებული ავანსად. ამნაირი მოსამსახურე ოთხია, მათ 5,000 მან. მეტი აქვთ წაღებული.

გას. თუმანიშვილი. ავანსების საკითხი სამწუხაროა და უფრო მისთვის, რომ კანონიც დარღვეულია და რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებაც არ სრულდება. ხოლო იმედი გამგეობისა, რომ საპენსიო თანხიდან ვიხლავთ ავანს და გაცემულ ფულს, უსაფუძვლოა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყველა მოსამსახურეს არა აქვს შესაფერი თანხა და მერე იმიტომ, რომ მოსაწონი არ არის ის პოლიტიკა, რომ გვინდა ვიხლოთ ავანსები მოსამსახურეთაგან სწორედ მაშინ, როცა მათთვის შენახული ფული ფრიად საჭირო იქნება.

თნ. სვანიძე (ბუხჰალტერი) დაწვრილებით ხსნის საიდან შესდგა ავანსები.

რამდენიმე ორატორი ლაპარაკობს ამავე საგანზე და ყველა ერთსა და იმავე აზრს დისტრიალებს, რომ მოსამსახურეთა დახმარება გაჭირვების დროს სავალდებულოა; მათგან წაღებული ავანსების რაოდენობა საზღვარს გადაცილებულია, თუმცა მათთვის ავანსების გადახდა ძნელია. უმეტესობა ემხრობა იმ აზრს, რომ ახალი გაცემა ავანსისა მოხდეს განსაკუთრებულ პირობებში, ხოლო ძველის გადახდა მოეწყოს მოსამსახურეთათვის შეღავათიანი პირობით.

თავმჯდომარე. სთვლის თუ არა კრება, რომ შარშანდელი და შარშანწინდელი გადაწყვეტილება საზ. კრებისა უცილებლად შესრულდეს ე. ი. ჯამაგირიდან მოსამსახურეებს გამოერიცხოს 15 პროც. და ახალი ავანსები არაფერ შემთხვევაში არ მიეცეთ?

წინადადება თავმჯდომარისა წარსული კრებების დადგენილების ძალაში დატოვების შესახებ მიღებულია და ამავე დროს კრება საჭიროდ სცნობს, რომ არა ჩვეულებრივ შემთხვევაში მოსამსახურეებს დახმარება უნდა აღმოეჩინოს და ამისთვის ვადაიდოს საჭირო თანხა. იმ თანხის რაოდენობაზე ლაპარაკი, სმეტის განხილვისა და დამტკიცების დროსათვის გადაიდო.

კამათი საფინანსო ანგარიშზე იწყება.

ალ. კრინიცკი. ანგარიშში ბალანს შესაფერი სათაური არა აქვს. ჩემის ფიქრით ეს საჭიროა: არა მგონია საჭირო იყოს ის, რომ ბალანსში იყოს მოყვანილი ბანკები, სადაც ფულებია შენახული, ტფილისის ბანკის ბალანსი ამ მხრივ გამარტივებულია, გარდა ამის საჭიროდ მიმაჩნია გამოირკვეს ის ანგარიში, რომელსაც გაყიდულ მამულების ანგარიში ეწოდება და იქ ირიცხება 85189 მან. 62 კ.

თნ. სვანიძე. ეგ ანგარიში შეუცვლელად დარჩა.

ა. კრინიცკი, მე მგონია ამ ანგარიშს დამოკიდებულება აქვს ბანკზე დარჩენილ მამულებთან და ეს უნდა აღნიშნულიყო.

თნ. სვანიძე. შემდეგ განზრახვა გვაქვს ეგ ანგარიში უფრო დაწვრილებით მოვიხსენიოთ.

ალ. კრინიცკი. მამულებიდან მიღებული მოგება და პენი სხვა აღნიშნული თითქო იქ მოძრაობა არ იყო.

თნ. სვანიძე. ეკ მაგრეც უნდა ყოფილიყო, რადგან მაგ ანგარიშების მოძრაობის აღნიშვნა შეუძლებელია.

ბარ. მოსეშვილი. ჩვენ ბანკზე დარჩენილია 1.700.000 მ. მამული, ამ მამულებზე დახარჯული გვაქვს 415.000 მ. თუ ზედამხედველი კ-ტი და გამგეობა გვეტყვის რომ ეს მამულები ამ ვალს გაანაღდებენ

თ-დი დ. მიქელაძე (გამგეობის წევრი) შეუძლებელია ამისთანა პირობებში საქმის სვლა. ჩვენ გადავწყვიტეთ დარჩენილ-მამულებზე არ ვილაპარაკოთ და ბ-ნი მოსეშვილი თავისას არ იშლის.

თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი. ბ-ნ მოსეშვილსა ვთხოვ ილაპარაკოს ფინანსიურ ანგარიშზე ხოლო დარჩენილ მამულებზე ლაპარაკის შემთხვევა მიეცემა თავის დროზე.

ბარ. მოსეშვილი. აი აქ ქუთაისში არის ერთი მამული, რომელიც არაფერს გვაძლევს, ნუ თუ ეს მოგებად უნდა ჩაითვალოს.

გ. ფ. ზდანოვიჩი. ბ-ნ მოსეშვილს სიტყვას ვართმევ.

ივ. პურაძაშვილი. სარგებელი % ქაღალდებისა შეადგენს 62340 მ. 49 კ. და შესაფერს ანგარიშებში ვერა ვხედავთ სიდგან შესდგა ეს ფული. ანგარიშში ნაჩვენებია 52 ათასი მანეთი და კაცმა არ იცის დანარჩენი სარგებელი საიდგან მივიღეთ.

თნ. სვანიძე. დანარჩენი სარგებელი მივიღეთ საკუთარი % ქაღალდებისაგან, მაგრამ ნაჩვენები არა გვაქვს, რადგან ამ ანგარიშს მოძრაობა არა აქვს, სხვა ბანკებიც არ აღნიშნავენ საკუთარი პროც. ქაღალდების სარგებელს.

ივ. პურაძაშვილი. ჩემის ფიქრით სხვის მაგალითი ჩვენთვის სავალდებულო არ არის.

ბარ. მოსეშვილი. სიტყვას გაძლევთ, რომ ბანკზე დარჩენილ მამულებზე ერთ სიტყვას არ ვიტყვი. ბანკის თანხა დიდია, სესხი გაცემულია 10 მილიონისა, ალებ-მიცემობა ფართოა, მოგება-კი 522 ათასი მანეთია. ჩვენი ძირითადი თანხა რომ სასარგებლოდ გავცეთ, მოგება 70 ათასი მანათი გვექნება. ნუ თუ მოგებაა, როცა 2 მილიონის მამული გვაქვს დარჩენილი. შეიძლება კაცი გაუნათლებელი კარგი ჩამომავლობისა არ იყოს, მაგრამ საზოგადო საქმისათვის გული შესტკიოდეს...

თ-დი ფალავა. მე ვთხოვ კრებას დამიცვას ამ კაცისაგან.

ხმაურობა, თავმჯდომარე ზარსა ჰრეკს.

თ-დი ფალავა. მე ვიცი რა თვალით მიყურებს მოსეშვილი. მას მე ვყავდი სახეში, როცა ჩამომავლობაზე დაიწყო ლაპარაკი.

გ. ფ. ზდანოვიჩი. მე მოსეშვილის სიტყვაში ვერაფერი ვპოვე თ-დი ფალავას შეურაცმყოფელი და ვთხოვ ბ. მოსეშვილს გაიმეოროს თავისი სიტყვა.

ბ-ნი მოსეშვილი იმეორებს ზემოხსენებულ სიტყვას.

თ-დი მ. ფალავა. თუმცა მოსეშვილს ეგ არ უთქვამს, მაგრამ მე დამაკმაყოფილა მისმა განმარტებამ.

თავმჯდომარე, კითხვა გამორკვეულად მიმაჩნია.—ჰსურს თუ არა რწმუნებულთა კრებას ანგარიში დაამტკიცოს.

წლიური ანგარიში ერთხმად მტკიცდება.

# კრება

### კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა ხოლერისა და შავის ჭირის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად

27 მაისი.

საღამოს 8 1/2 საათზე კრება დაიწყო განჯის ქალაქის მოურავის ადილ-ხან ზიათხანოვის თავმჯდომარეობით.

პირველი მოხსენება წაიკითხა ესენტუკის წარმომადგენელმა ექიმმა ი. ს. ტყეშელაშვილმა, რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა საჭიროება კავკასიის საგუბერნიო ქალაქებში ცენტრალურ ქიმიურ-ბაქტერიოლოგიურ ლაბარატორიების დაარსებისა სანოვაგისა და ხილის გამოსაკვლევად და დასასრულ სურვილი გამოსთქვა, კავკასიის ქალაქებში მოსამსახურეთათვის სანატორიები დაარსდეს ა. ი. ხატისოვის სახელობაზე კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა პირველ კრების აღსანიშნავად.

ტფ. ქიმიურ ლაბარატორიის გამგემ გ. გ. ალიბეგაშვილმა საჭიროდ დაინახა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სურსათის გამოკვლევას და საერთო სანიტარულ ორგანიზაციას.

ტფ. სადეზინფექციო კამერის გამგემ ტ. გ. ხარაზოვმა თავისი გრძელს მოხსენებაში ის აზრი გაატარა, რომ საჭიროა შემუშავებულ იქმნეს დეზინფექციის ის საშუალებანი, რომელნიც სრულად უნდა აკმაყოფილებდნენ მეცნიერების უკანასკნელ მოთხოვნილებებს და მითი სარგებლობა სოფლადაც ადვილად შეეძლოთ.

კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დელეგატი ა. ა. ქალანთარი ხაზს უსვამს იმას, რომ ქალაქებმა ხოლერასთან ბრძოლის დროს არ უნდა დაივიწყონ სოფლებიც.

ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანს ა. ს. ბაბოვს საჭიროდ მიაჩნია, სკოლის შენობები გაუმჯობესებულ იქმნეს, აგრეთვე მოწყობილ იქმნეს ზაფხულობით სასკოლო ახალშენები.

ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების წარმომადგენელი ექიმი დ. მ. მანანი ეხება ჭლექთან ბრძოლას იმდენად, რამდენადაც ამას კავშირი აქვს სხვა გადამდებ სენთან ბრძოლასთან.

დასასრულ მოხსენებას კითხულობს ალექსანდროპოლის ქალაქის მოურავი გ. პ. გამსარაკანი ამ თემაზე. განჯის სანიტარულ საჭიროებათა და ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ.

იწყება კამათი.

ა. ი. ხატისოვი აღნიშნავს, რომ საჭიროა ქალაქებმა შუამდგომლობათა აღძვრის გარდა ადგილობრივაც გამოიჩინონ თვითმოქმედება. ორატორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სხვა და სხვა წარმოებისა და საქმეების გადასვლას ქალაქების ხელში.

კავკავის ქალაქის მოურავს შ. მ. თრიოდის საჭიროდ მიაჩნია, შეიცვალოს საქალაქო დებულება ისე, რომ საარჩევნო უფლებანი გაფართოვებულ იქმნეს, ქალაქები ზოგიერთ სავალდებულო ხარჯებისგან განთავისუფლდნენ და ნება მიეცეთ ქალაქებს დაუბრკოლებლად აიღონ სესხი.

კამათმა 12 1/2 საათამდე გასტანა

28 მაისი

სადამოს კრება.

დილით კავკასიის ქალაქების წარმომადგენელნი ავჭალას გაემგზავრნენ, ამიტომ კრება მხოლოდ საღამოს მოხდა. კრება დაიწყო 8 ს. 30 წ. ნოვოროსიისკის ქალაქის მოურავის პ. კ. კალინინის თავმჯდომარეობით.

ა. ი. ხატისოვი კითხულობს სამადლობელ დეპეშას კავკასიის ნამესტნიკისას, რომელიც კრების საპატიო თავმჯდომარედ იქმნა არჩეული.

კრება ადგენს, შესაფერი დეპეშა გაეგზავნოს ნამესტნიკს სხდომების დასრულების შემდეგ.

მოხსენებას კითხულობს ბათომის სასანიტარო ექიმი ს. ს. ბეთანოვი შემდეგს თემაზე: „საერთო ორგანიზაცია სანიტარულ საქმისა ბათომში და ხოლერისა და შავის ჭირის შემოტანისა და გავრცელების წინააღმდეგ მიღებული ზომები“.

ექიმს ა. ი. დამასკანს მოჰყავს თავისი მოსაზრებანი შავის ჭირის საწინააღმდეგო ზომების შესახებ. სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ ის დიდს მნიშვნელობას არ აძლევს ვირთაგვების გაწყვეტას იმ დრომდე, სანამ ბინების ტიპი შეცვლილ არ იქმნებაო.

მ. ზ. დუნკევიჩი და ა. ი. ხატისოვი დიდს მნიშვნელობას აძლევენ ვირთაგვების გაწყვეტას.

ბაქოს მედიკურ სანიტარულ ბიუროს გამგემ ექიმმა გასილევსკიმ წაიკითხა მოხსენება ამ თემაზე: „შავი ჭირი რუსეთში“, ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოს სასანიტარო ნაწილის გამგე გ. ი. როსტოვცევმა „საერთო სახელმწიფო, საოლქო და ადგილობრივი ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა ბაქოს ნავთის მრეწველობისა“ და ტფ. სასანიტარო-სამკურნალო ექიმმა: „ორგანიზაცია ხოლერისა და შავის ჭირის საწინააღმდეგო ზომებისა ტფილისში“. უკანასკნელად მოხსენება წაიკითხა ა. ი. ხატისოვმა, შემდეგ თემაზე: „ფორმები საზოგადოებრივ დახმარებისა ქალაქებში ხოლერის ეპიდემიასთან ბრძოლის საქმეში“.

კამათი დაიწყო.

ექიმი დამასკინი აღნიშნავს, კავკასიაში დამპალი ციება უფრო საშიშია, ვიდრე ხოლერა და შავი ჭირი და ამიტომ მოითხოვს დამპალ ციებასთან მებრძოლ ლიგის დაარსებას. ორატორმა, სხვათა შორის, სთქვა, კავკასიის ექიმები დამპალ ციებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენო.

ექიმებმა ჯესელოვზოროვმა, ბუხბინდერმა, მუხარინსკიმ, ფედოროვმა და სხვებმა ბ-ნს დამასკინს უპასუხეს, ეგ საყვედური უსაფუძვლოა, რადგან კავკასიის ექიმებმა დამპალი ციება დიდი ხანია გამოიკვლიეს და ზომებიც შეიმუშავესო; საჭიროა მხოლოდ ნივთიერი საშუალება ცხოვრებაში ამ ზომების განსახორციელებლადაო, ზოგან კი, მაგალითად, ფოთსა და ბათომში ჭაობები უკვე ამოაშრესო და სხვ...

კამათი ნაშუალამევის 2 საათზე დასრულდა, პრეზიდიუმი კი დილის 5 საათამდე დარჩა რეზოლიუციების პროექტების შესამუშავებლად.

29 მაისი.

კრება დაიწყო დილის 11 საათზე ერევნის ქალაქის მოურავის ი. ფ. ტიგრანოვის თავმჯდომარეობით.

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შემუშავებული რეზოლიუციები, რომელნიც წაკითხულ მოხსენებებიდან გამომდინარეობდნენ, მიღებულ იქმნენ და კრება 1 ს. წ. შეწყდა.

კრების განახლების შემდეგ ა. ი. ხატისოვმა სიტყვით მიჰმართა კრებას და დასასრულ წაიკითხა ტექსტი ნამესტნიკთან გასაგზავნ დეპეშისა.

კავკავის ქალაქის მოურავმა შ. მ. თრიოდმა თავის მხურვალე სიტყვაში მადლობა გადაუხადა ტფ. ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელთ ამ კრების მოწვევისათვის.

ა. ი. ხატისოვმა პასუხი გასცა და კრება დასრულებულად გამოაცხადა.

ამავ დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, არტისტიულ საზოგადოების შენობაში კრების მონაწილეებმა საამხანაგო სადილი გამართეს. თამადად ა. ი. ხატისოვი იქმნა არჩეული, რომელმაც თავის მოსწრებულის სიტყვებით და მჭერმეტყველებით სუფრა ძალიან გაახარულა. სიტყვები წარმოსთქვეს ი. მ. ჩიქოვანმა, ადილხან ზიათხანოვმა, დამასკინმა, კიტა აბაშიძემ, ა. მდივანმა, ი. თ. ტიგრანოვმა და სხვებმა.

სადილის შემდეგ საერთო სურათი გადაიღეს.

სადილის მონაწილენი საღამოს 8 საათზე დაიშალნენ.

# ალბანეთის აჯანყება

### დეპეშები

28 მაისი.

ცეტინიე. გუშინ განუწყვეტელი ბრძოლა იყო. ბრძოლას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ამბობენ, მირიდიტებმა თავიანთ იარაღის ერთი ნაწილი შალის თემს დაურიგესო. შალელები ალბანელთა მარცხენა ფრთას შეადგენენ და კაპაპროის მთის მახლობლადა სდგანან.

---

„ყანავ, შენ ჩემო ყანაო, ტურფავ და ლერწამ-ტანაო,
„მარცვალს ამზადებ სხვილ-სხვილსა, უფალმა ასე ბრძანაო“.

ასე ხარობს გლეხი თავის ყანის შემყურე, ასე ხარობს გლეხიც აღზევანს მიმავალი მარილზე, მიღიღინებს, მხიარულად მიიმღერის და ოცნებობს, სულში იძვრენს, უსაზღვროდ იყვარებს იმას, ვინც ამ მგზავრობაში მისი მეგობარია.

მისთვის სულ ერთია კაცი იქნება ის, თუ პირუტყვი; იმისი აზრით ყველას გული აქვს, ყველა უნდა შეიყვარო, და რამდენადაც გლეხი ადამიანებიდან განდევნილი და დაბეჩავებულია, იმდენად უფრო ძლიერდება მისი სიყვარული იმ საგნისადმი, რომელიც მასთან ერთად ატარებს დღეებს, ეზიდება ჭაპანს.

ჩვენი გლეხის გულის მესაიდუმლე ხარ-კამეჩია. მხოლოდ ლომა და ირმა ხარი თუ გაუწევს ამხანაგობას და სიკვდილამდე არ უღალატებს თავისს პატრონს. გლეხს ეს კარგად ესმის, ესმის ირმა ხარი მისი მარჯვენა ხელია, მისი ერთგული და ისიც თავის სევდას და სიხარულს უკანასკნელს უზიარებს, იცის რომ ბოლომდე გაიტანს. გლეხი აღზევანს მიდის მარილზე, უდარდელი, უზრუნველია იგი ამ დროს და ჰსურს ეს მხიარულება მისმა მეგობრებმაც გაიზიარონ, მაგრამ ამჩნევს, რომ გინდა ცოტა არ იყოს ზანტად მიზლაზნება და ისიც ამხნევს, აქეზებს, ურჩევს მხნედ იყვეს და ტოლს არ უღალატოს.

„გაუწი, შინდავ, გიშერას, რადა ღალატობ ტოლსაო,
„გაუწი, ქედის პირიმე, გიშერა ცოდო ხარია,
„უშველე, ნურას ცუდლუტობ, ტოლს დაუჭირე მხარია“.

ეს ხარები, მაგრამ გლეხისთვის არც ურემია ნაკლებად საყვარელი, რადგან:

„ურემი, მისი ურემი, გამყოლი არის ხარისა,
„არ ეფიქრება კლდე-ღრისა, აღზევნის მთა და ბარისა“...

არა თუ ურემი, არამედ თვითეული ნაწილი ურემისა: ღერძი, თვლები, სოლები მისთვის ძვირფასი არის, რადგან ჰგრძნობს, რომ ყველა ეს მისს გასაჭირს იზიარებს:

„ღერძი უდგია წიფლისა, გასაპნულ-გაპოხილია,
„ზედ თვლები ნიგვზის მორგვებით გახეშილ გაჭედილია“,..

მაგრამ უმჯობესია ვალაპარაკოთ თვითონ გლეხი თავის სიმდიდრეზე, თავის მეგობრებზე და მოჭირისუფლებზე:

„ჩალური სახლი მიდგია, ხულა დერეფნით სრულია,
„სხვენი აქვს წიფლის ფიცრისა, კედლები გამოწნულია.
„შიგ შუა სხვენში კიდია ჩალხანას საკიდარია
„ხულისკენ—თარო ჯამ-ჭურჭლით და კრუხის საბუდარია...
„კერასთან შუა ბოძია, ბოძთან ძმრის ქოცო თხლიანი,
„ბოძს უკან-ფქვილის გოდორი და კოდი ბირაქიანი
„უღელი ხარი კარზე მყავს, ძროხა და ერთი ფურ-ზაქი,
„ქათმები, კრუხ-წიწილები, ქოსმანად ერთი ბურვაკი!“..

აი მთელი გლეხის სიმდიდრე, ამით ის სავსებით კმაყოფილია:

„ვცხოვრობ ბეჩავი ღვთის მადლით, არ გამტეხია გულია,
„ნუ გეგონებათ შავშინდე ჯაფისგან მოქანცულია“.

არა თუ არ ემდურის ბედს, არამედ ხშირად მღერის კიდეც „საღამო ხანზე ცოლშვილით“, როცა „კერას მიუჯდება და გვერდით ლოპიოს და მჭადს მოიდგამს“.

მუდმივის და აუტანელის შრომისაგან გლეხი ადამიანის სახეს ჰკარგავს, პირველ შეხედვისთანავე შიშით უკან დაიხევ და განცვიფრებული შეაცქერდები, მაგრამ მას ამისი როდი სცხვენია, არა სცხვენია, რომ მისი ხელები დაკორძებულია.

„გინდა შანთს ავაღებინებ, არც კი ამეწვას კანია,
„რად მაძლევ არას მარგია მე შენი ხელთათმანია“...

„ან რად გიკვირთო“, გვეკითხება ის ჩემი დაწყლულებული ფეხები? ან ბალნიანი გადაღებული მკერდია?

„რად გიკვირს ძმაო შენ ჩემი აქეცებული კისერი,
„ქედი ამომწვა მზე-ყანვამ ლაპლაპებს როგორც გიშერი,

ამით გლეხს ის უნდა შეგვაგნებინოს, რომ ისიც ისეთივე ადამიანია, როგორიც ჩვენ, მაგრამ შრომისაგან ჩაწიხლული. არ იფიქროს ვინმემ, ის შებრალებას გვთხოვდეს. სრულიადაც არა, იგი ამაყობს კიდეც თავის „აქეცებული კისრით“ და იქამდე „მოლაპლაპე გიშერსაც“ კი ადარებს.

როგორც ვსთქვით, გლეხს უყვარს ყველაზე უფრო ის, ვინც მასთან ერთად ჯაფაშია, ვინც მისი მესაიდუმლეა და მის ჭირ-ვარამს იზიარებს, ამიტომ ამის დაკარგვაც მისთვის საშინელი, შეუდარებელი უბედურება უნდა იყოს.

საქართველოს ბევრი ახსოვს გაჭირვება, სისხლის ღვრა, მტერთაგან აოხრება, მაგრამ ალამაჰმად-ხანის შემოსევა, საშინელებაზე საშინელება იყო და გლეხიც მამაცად შეებრძოლა გაუმაძღარ მოსისხლე მტერს, მაგრამ ულმობელი შეიქნა მტრის ტყვია, ის გულგაპობილი დაეცა ძირს და უკანასკნელის სიტყვებით დედას მიმართა შემდეგი ანდერძით:

„ნეტა რად სტირი დედილო? სახლზედ იყავი ფრთხილადა,
ირმა ხარს მოუარევი,ს მარილს ალოკვე ხშირადა,
ყანა გამარგლეთ ბეჯითად, არ მოერიოს ჭიოტა,
„ე პაწა არ მოამშიოთ, ფოცხვებს არ დამიჭმიოთა“
„ჯერ ნურას ეტყვი შენს რძალსა, ბალღია, ამიტირდება“... და სხვ.

როგორც ვხედავთ, ამ ანდერძში ყველაზე უწინ ირმა ხარია ნახსენები, რომელიც მეომართან ერთად ეწეოდა მძიმე უღელს, შემდეგ ყანა, რომელზედაც მას ამდენი ოფლი დაუღვრია და რომლისთვისაც თავისი სევდა ხშირად უზიარებია და შემდეგ ბავშვი და ცოლი, იმიტომ რომ გლეხის ცხოვრებაში უკანასკნელთ ყოფა სავსებით პირველზეა დამოკიდებული. ყანა და ხარები, ეს არის მისი უმთავრესი სიმდიდრე, და ამ ორის დაკარგვა მას უსაზღვრო, გამოუთქმელ სევდასა გვრის; იმ სევდას, რომელიც ასე ხელოვნურად ამოხსნა, გლეხის გულის სიღრმეში ჩაწვდენილმა, მაღალ წოდებიდან გამოსულმა რაფიელმა. ტეტუის „სამი დღის ყანა, სამკალი, ზედ კარზედ ედგა ბურჯადა“, მაგრამ, საუბედუროდ მირეგვ-მორეგვა სარჩო სეტყვამ და პოსთქვამს საბრალო ტეტუია, არ იცის „რა წყალში ჩავარდეს“,

„ყანა წამიხდა, რა ყანა, ავ თვალს არ ენახებოდა,
„თავთავ ქვეშ იხნიქებოდა, სიმძიმისაგან წვებოდა“.

აიღეთ ლექსი „თანდილას დარდი“. თვითეული სიტყვა ამ ლექსში სწორი და გულწრფელია. ჩვენ ღრმად განვიცადით თანდილას უსაზღვრო სევდას, ჩვენც მასთან ერთად ვსტირით გიშერა ხარს, თანდილის საუკეთესო მეგობარს, რომელიც მას უწყალო სიკვდილმა გამოგლიჯა ხელიდან.

„შენი პირიმე გიშერავ“!!

მოსთქვამს მტირალი თანდილა

„პირიმე შენი ქედისა..
„მომკლა[illegible], მომკალ, ბეჩავი, წყევარი ჩემი ბედისა“.

(დასასრული შემდეგ)

**სტამბოლი.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ალბანელები მდ. ცემისკენ გაურეკნიათ. ერთი მათი ნაწილი ჩერნოგორიას გაქცეულა, მეორე ნაწილი მოსაზღვრე მთებში შეხიზნულა, მესამე მდ. ცერის ხეობაში გამაგრებულა, მეოთხე ნაწილს კი სელცეს მახლობლად მთები დაუჭერია. აჯანყებულთა ყოველ პოზიციას ჯარები არტყია. მირიდიტელებმა ალესია ტაიპყრეს და გაჩერდნენ.

აბერ-კელი კრეინი, რომელსაც მთელი სამხრეთ ალბანეთი მოუვლია და სკუტარში მოსულა, ამბობს, რომ აჯანყება მთელ ალბანეთს მოედოვო.

**დულცინიო.** მოსაზღვრე ყარაულები იტყობინებიან მეორე დღეა რაც ბრძოლა არა ყოფილაო. ოსმალები ფხიზლად არიან და მირიდიტელები ვერავითარ ცნობებს ვერა ჰგზავნიანო. მათი მოწინავე ჯარი სოფ. კუკლში ალესოდან 15 კილომეტრის მანძილზეა. გაძლიერდება თუ არა მირიდიტელების აჯანყება არავინ იცის. მათ ერთსულოვნება არა აქვთ. აჯანყებულთ ჰსურდათ თურღუთ ფაშის ჯარისათვის ზღვისკენ გზა მოეჭრათ. ეხლა ეს შეუძლებელია, ოსმალებს სალონიკიდან ყოველ-დღე მოსდით მაშველი ჯარი და სურსათი. გუშინ მდინარე ბოიანით სკუტარში 4 ხომალდი მოვიდა. ხომალდზე ზარბაზნის ყუმბარები და სურსათი იყო. გუშინწინ კი 10 გემი მოვიდა და ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები მოიტანა. ზღვით მოვიდა 2000 კაცი. ეს ჯარები თურღუთ-ფაშას არ უერთდებიან. მხოლოდ მალისორების წინააღმდეგ იმოქმედებენ სკუტარში სურსათი შემოაკლდათ, პურის გატანა აღკრძალულია. ეშინიანთ რომ სკუტარიის მთელ ვილაეტში სიმშილი არ ჩამოვარდეს.

**(გაზეთებიდან)**

თურღუთ-ფაშის ჯარი, რომელიც ალბანელთა წინააღმდეგ მოქმედებს, 65.000 კაცისაგან შესდგება.

რაკი გაიგეს, სადაც იმალებოდა ისსა ბოლეტინაცი, იგი მაშინვე გაიქცა. მას უკან ოსმალებმა რაზმი დაადევნეს, რათა ისსას ხელი შეუშალონ და აჯანყებულთ ვერ შეუერთდეს.

ალბანეთის დროებით მთავრობის პრეზიდენტი ტერენციო ტოცცი 35 წლისაა, ხელობით ვექილი, დაბადებული და აზრდილი იტალიაში. ტოცციმ მთელი ზამთარი ჩერნოგორიაში გაატარა და აქ ალბანეთიდან გამოქცეულ ალბანელებს დაუმეგობრდა. ეხლა მას რიჩიოტი გარიბალდისათვის დეპეშა გაუგზავნია და იბარებს დროა— ალბანელებს მოეშველოო.

დროებით მთავრობის შედგენას ცეტინელი პოლიტიკური წრეები გულმშვიდად შეხვდნენ. დარწმუნებული არიან, რომ ალბანელთა სამარი აღფრთოვანება, რომელიც ოსმალთა ჯარის გამარჯვებამ ჩააქრლა, მირიდიტელების აჯანყებით ისევ გაიზრდებაო. მაშინ აჯანყება ახალ გზაზე დადგება, საქმე გართულდება და ჩერნოგორიაც ასეთ გამორკვეულ მდგომარეობაში დიდხანს იქნება.

ლონდონის გაზეთი „Times“ ამბობს, რომ რაკი ალბანელებმა დროებითი მთავრობა გაიჩინეს, ეხლა ოსმალეთი იძულებული იქნება ალბანელებს დაუთმოსო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 მაისი.

**საზღვარ-გარეთ.**

**რომი.** ჯოლიტიმ დეპუტატთა პალატაში საარჩევნო წესის რეფორმის პროექტი შეიტანა.

**პარიზი.** ისპანიამ თავისი ჯარები ლარაშში გადასხა. აქაური პრესა ამ ამბავმა ძალიან აღელვა. ისპანიის ამ საქციელს ვერც საქმეთა მდგომარეობა გაამართლებს, ვერც ტრაქტატის დადგენილებანი და ვერც სულთანის სურვილიო.

**ტოკიო.** ისპანია კუნძულ ბონინზე ახალ სამხედრო ნავთ-სადგურს აშენებს.

**ფეცი.** ბანაკიდან გაქცეულ ბრიულარის, გურიისა და ლების რაზმები. მათ 6,000 ბერბერი დაესხა თავს. ბერბერები ზარბაზნებით გაჰფანტეს. ამბობენ, მულაი-ჰაფიდმა „წმინდა ომი“ გამოაცხადა.

**ტანჟერი.** სულთანის წარმომადგენლებმა ისპანიის ჯარის ლარაშში ჯარების გადმოყვანაზე პროტესტი განუცხადა: ეს ხელ-შეკრულების დარღვევაო. ლარაშში მოსულ 800 სალდათიდან 500 ელქაზში გაიგზავნა.

**სოფია.** ქალთა თანასწორ-უფლების კავშირმა დიდ ერთვნულ კრებას პეტიცია გაუგზავნა და ქალთათვის საარჩევნო უფლება ითხოვა.

**ურმია.** ოსმალებისა და თურქების ჯარი გააძლიერეს.

30 მაისს.

**ვენა.** ხვალ ავსტრიის რეიხსრატის არჩევნები იწყობა. საარჩევნო ბრძოლა გაცხარებულია. იბრძვიან: გერმანელი თავისუფალი მოაზრენი, ლიბერალები, კლერიკალები, ნაციონალები, პოლონური პარტიები და რუსთა თრივე ნაციონალური ჯგუფები გალიციის. გუშინ პრაგაში სოციალ დემოკრატებსა და სოციალ-ნაციონალისტებს სისხლის ღვრა მოუხდათ. ასეთივე ბრძოლა მოუხდათ ქოვენც კლერიკალებს და ლიბერალებს. ამაში, გერმანის ბოჰემიაში, ლაბკენხერი სოციალისტ-კანდიდატების სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდა, ამიტომ კრებები დაჰხურეს.

**სტამბოლი.** ვანის ვილაეტში ქურთებსა და ოსმალებს შეტაკება მოუხდათ,

**რ უ ს ე თ ი.**

29 მაისი.

**ეკატერინოდარი.** მაიკოპის ნავთის ქარხნებში ყაჩაღთა ბრბო თავს დაესხა კასირს, რომელსაც 12 ათასი მანეთი მიჰქონდა. კასირი და სტრაჟნიკი დასჭრეს და ფული გაიტაცეს.

**პეტერბურგი.** 29 მაისს კრონშტადტში ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ესკადრა მოვიდა. ამის თაობაზე გაზ. „როსსია“ სწერს: „ეს წვეულება სასიამოვნოა, იგი ამით რუსეთისა და შეერთებულ შტატების მეგობრობას ამტკიცებსო.

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა სტ.-სეკრეტარი, სახელმწიფო საბჭოს წევრი მანიუხინი.

## ღია წერილი

თავ. გიორგი როსების ძე ამირეჯიბს. მ. ხ.

რადგანაც მე და თქვენ შორის მოხდარი ლაპარაკი საზოგადოებაში გავრცელებული არა იმ სიმართლითა და სისწორით, როგორც ეს ნამდვილად იყო, ამიტომ ამ წერილით გაუწყებთ შემდეგს: ალმანახ „შუქ“-ში მოთავსებულ წერილების პასუხის-მგებელნი ვართ ყოველგვარ შემთხვევაში მე და ექიმი ნესტორ მიხეილის ძე კლიმიაშვილი.

**ხვიჩო გახალის ძე ყიფიანი.**

## წერილი რედ. მიმართ

**პასუხად ბ. ვ. მუსხელიშვილს**

„სახალხო გაზეთის“ № 286 თქვენ მოათავსეთ წერილი ხარკოვის ქართველ სტუდენტთა საყურადღებოდ, რომელშიაც გვისაყვედურებთ, თუ რად მოგათავსეთ მოვალეთა სიაში და უსაბუთოდ შეურაცხვყავით თქვენი პიროვნება. ჯერ ერთი გაზეთში მოვალეთა სიის მოთავსებით არავის პიროვნების შეურაცყოფა არ გვქონდა სახეში, მხოლოდ გვინდოდა მოგვეგონებინა მათთვის, რომ ვალს გადახდა უნდა. მეორეც—თქვენი თხოვნისამებრ ჩვენ ვეცადეთ მიგვემართა იმ პირისათვის, რომლის თავდები თქვენ ბრძანებულხართ, მაგრამ ნიზანს ვერ მივაღწიეთ, რაც თქვენ თავის დროზე კიდევაც გაცნობეთ. ჩვენის აზრით იმ პირის მონახვა თქვენთვის უფრო ადვილი იყო და არის ახლაც. რაც შეეხებოდა თქვენი გვარის გამოცხადებას გაზეთში, ჩვენ სხვა გზა აღარ გვქონდა, რადგან სათვისტომოს კასის წიგნებში თქვენ კიდევ ირიცხებით მოვალედ (კერძო თქვენი ვალი 6 მან. და 50 მან. თავმდები) მიუხედავად იმისა, რომ 130 მ. გადახდილი გაქვთ. როგორც ჰხედავთ ჩვენ საკმაო საბუთი გვქონდა მოვქცეულიყავით ისე, როგორც მოვიქეცით, თუ გინდ მარტო ფორმალური მხრით გვეხელმძღვანელა. მხოლოდ რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენებ „მშიერ ადამიანის პსიხოლოგიის არაჩვეულებრივობას“ აქ არაფერ შუაში მოსატანი არ იყო. ჩვენ მოგთხოვეთ გადაგეხადათ ის ვალი, რომლის გადახდის ვალდებულობას თვითონაც არ უარჰყოფთ თქვენივე წერილში. რაღა საბუთი გქონდათ ჩვენი მოქმედება აგეხსნათ ხსენებულ „პსიხოლოგიით“?! ჩვენგან ფული მიგაქვთ (თავისთვის თუ სხვისთვის ეგ სულ ერთია), დროზე არ გვიბრუნებთ და კიდევ ასეთი მსჯელობით გვიმასპინძლდებით მაგგვარ პსიხოლოგიის არა ჩვეულთ.

სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარე **დანიელ რ. ქანქლაძე.**

მდივანი **ალექსანდრე ი. კანდელაკი.**

## გამოსადეგი ცნობა

**მეტეხისა და საგუბერნიო ციხეებში დატუსაღებულთა ნახვა შეიძლება დილის 10—2 საათამდე:**

**ხუთშაბათობით** — ციხე - მიხჯილთა (Крепостникъ) და იმ დატუსაღებულთა, რომელთაც პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდებათ და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

**კვირაობით**—ადმინისტრატიულად დასჯილთა, საპყრობილე და სატუსაღო მისჯილთა (Тюрем. заключ. и арестант. отд). და ყველა მათი, რომელ იც სასამართლოში არიან მიცემულნი და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

**ყოველ თვის 20 რიცხვში** (თვეში ერთხელ)—კატორღა-მისჯილთა.

**დატუსაღებულთა ნახვისთვის ნებართვა**—თუ დატუსაღებულის საქმე გათავებულია და უკვე სასჯელს იხდის—იგი ციხის ადმინისტრაციისგან უნდა აიღონ; თუ საქმე ჯერ გამოძიებაშია ნებართვისათვის იმ პირს ან დაწესებულებას უნდა მიჰმართონ, რომლის ხელშიაც საქმე ირიცხება.

**ყოველ კვირა-ხუთშაბათს** შეიძლება გადაცემა ჩაი-შაქრისა (რამე პარკებით), ტანისამოსისა და ფულისა. ფულის მიცემის დროს საჭიროა ბარათის ჩამორთმევა. ნივთის მიცემის დროს საჭიროა რამიაც იქნება გახვეული გადასაცემი ზედ დააკრან ქაღალდი. რომელზედაც ეწერება ვის გადასაცემია და გვარი ვისთვისაც არის დანიშნული.

**შეიძლება გადაცემა** აგრეთვე წიგნებისა, მხოლოდ წინდა წინ ბრალმდებლისაგან ნებართვა უნდა იყოს აღებული.

## ვინ როდის იღებს მთხოვნელებს

**ნამესტნიკი** ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან, სასახლეში ხოლო მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა** სამშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სასახ. სახლ.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში** ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ხოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

**ეგზარხოსი**—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (ეგზარხოსის მოედანი).

**ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი**—ორშაბათობით ნაშუადღევის 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

**კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი**—ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბის შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

**ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი** ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

**ტფილისის გუბერნატორი** — ყოველ დღე ნაშუადღევს 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. კიშში).

**კავკასიის მიწადმოქმედებისა და მიწად მომწყობი მთავარი რწმუნებული**—ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ საათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა N 9).

**კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).

## ნ ი ხ რ ი

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა**

(მეეტლეებთან მოურიგებლად).

| | | |
|---|---|---|
| 1. | ქალაქში ერთ ადგილამდე | 40 კ. |
| 2. | ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუხი, დიდუბე, ნაძალად., ჩუღურეთ. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან | 70 „ |
| 3. | ვაგზლიდან ქალაქში | 70 „ |
| 4. | ვაგზლიდან განაპირებში | 1 მ. — |
| 5. | ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში | 40 „ |
| 6. | ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე | 50 „ |
| 7. | მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან | 80 „ |
| 8. | ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში | 50 „ |
| 9. | ფუნიკულერის სადგურამდე | 50 „ |
| 10. | იქიდან უკან დაბრუნება | 40 „ |


## განცხადებანი

◀ მშობიარეთათვის ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**

ოგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6 — 7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—46)

მუხრანის ქერძო

**სამკურნალო**

გ ა ი ხ ს ნ ა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ასპანოვი**—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. აზვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**კ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—81)

## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან- და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. გარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—48)

**გამოცდილი მასწავლებელი**

ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის

**პირობებით:**

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტეხნიკურ, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე პოვივალნი ინსტიტუტისა, მიიღებს პერეეზამენოვკიანებსაც.

ამზადებს ერთ და ორ კლასიან მსწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის ჩინზე. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.

მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას **მიიღებენ მასწავლებლები** მცოდნენი უცხო ენებისა... მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან საღამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ. დღით 6 საათამდე. მსურველს შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...

დროებითი ადრესი: Черкезовская ул. (быв. Авчальск.) д. № 133. кв. 4. противъ вокзала въ Нахаловкѣ. „შეხავალი უმთავრეს კარებიდან“.

(9—1084—9)

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ

**ისყიდება** მიწა

საბურთალოზე 403 ოთხკ. საჟენ., თხინვალ - საგაბაშვილოს ადგილში. პირობების გაგება შეიძლება „სორაპანის“ სტამბაში, დილ. 8 ს.-დან საღ. 6 ს.-მდე ნიკო ქიზაშვილთან. (0—10)

## ცხენები

შესაძმელი, რესორებიანი ცროგი და ცხენის შეკაზმულობა შემთხვევით იყიდება **ავლაბარში** მარტყოფის ქუჩა № 31. (1—629—1)

„**სამკსოხვიდო**“ თმებისათვის

საპონი ექ. დიდიძისა

იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე). (წლ.—1152—69)

## ხ. გ ლ ა ზ ე რ ი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 4, ძველ სემინარიის შენობის პირდაპირ).

**ევროპიული სამრეცხველო, ლაქის ამომყვანი და სამღებრო**

ხელ-ახლად გადაკეთებულია ტეხნიკისა და ჰაიგიენის უკანასკნელ მოთხოვნილების თანახად. **საქმეებს** შეუჩერებლივ ვიკეთავთ. საქმეები სრულდება სპეციალისტ-ოსტატთა მეთვალყურეობით. **ყველაფერი** კეთდება სწრაფად და შეუდარებლად.

◀ **არის განყოფილება ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.** ▶

**ფასები ხელმისაწდომია.** (55—1306—3)

წ ი გ ნ ი ს გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

„**კოლმეურნე**“-საგან

**ხელის მომწერთა და აგენტთა საყურადღებოდ.**

ვისაც 15 მაისამდე გამოგზავნილი ჰქონდა ფული (თუ გინდ ერთი მანეთიც ხელის-მომწ.), ყველას გაეგზავნა ოთხ-ოთხი წიგნი ხელის-მომწ. დასარიგებლად, და მოკლე დროში კიდევ გაეგზავნებათ ორ-ორი წიგნი. ამგვარად 4 წიგნის მაგიერად ყველა ხელის-მომწერი მიიღებს ექვს-ექვს წიგნს.

ვისაც ფული არ წარმოუდგენია სრულიად, ან ნაწილი, ვსთხოვთ **უხათუოდ ხუთ ივნისამდე** წარმოადგინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ფასებში წიგნები აღარ მიეცემათ.—წიგნების დაგვიანება გამოიწვია მრავ. აგენტების მიერ ფულის გამოუგზავნებლობამ.

ვისაც უნდა წიგნები დაკაზმული მიიღოს, ყდაში დამზადებული გვაქვს წინანდელზე უფრო კარგი ყდები 5 წიგნისათვის (3-წიგნად) 1 მ. 20 კ. სახელისა და გვარის ასოების წარწერით.

(1—630—1) პატივისცემით კ. თავართქილაძე.

1897 წ. 1808 წ. 1888

**ა მ ხ ა ნ.**

„**პროვოდნიკი**“

ტფილისი, სოლოლაკის ქ № 4, ტელეფონი 773.

გაიხსნა მეორე განყოფილება

**ხელოზე სავაჭროდ**

მიხეილის პროსპ. № 97, ტელეფონი № 393.

იქვე იყიდება შინები და არის სახელოსნო

**ეტლების შინების გადასაკვრელად**

შინების მყიდველთათვის გადაკვრა

სპეციალისტ ოსტატის მიერ

**უ ფ ა ს ო ა.**

(3—1259—3)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების მ ა ღ ა ზ ი ა ს**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა** ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე. წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა


სტამბა „სორაპანი“, მადათოვის კუნძული. ნ. რედაქტორ-გამომცემელი კუ რდღელაშვილი